პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 219 (5249) 3 1974 წ. ნოემბერი, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## სამდივნოში უწერენ

**ᐩ თიანეთი**

რაიონის მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული მძლეოსანთა პირად-გუნდური შეჯიბრება სამ დღეს გაგრძელდა. გუნდური პირველობა მოიპოვეს მ. გელოვანის სახელობის საშუალო სკოლის სპორტსმენებმა. II ადგილი წილად ხვდათ სკოლა-ინტერნატის მძლეოსნებს. III ადგილზეა ტუშურების საშუალო სკოლის კოლექტივი. რვაწლიან სკოლებს შორის უძლიერესი აღმოჩნდა ზარიძეების გუნდი. II ადგილზე არიან ქებოტის სკოლის ფიზკულტურელები, III — ჩეკურაანთგორის წარმომადგენლები.

• • •

ჩატარდა რაიონის მოსწავლეთა პირად-გუნდური პირველობა მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში. კარგად იასპარეზეს სკოლა-ინტერნატის სპორტსმენებმა, რომლებმაც I ადგილი დაიკავეს. II ადგილი წილად ხვდათ მ. გელოვანის სახელობის საშუალო სკოლის მსროლელებს, III — ზარიძეების რვაწლიანი სკოლის წარმომადგენლებს. ყველა მონაწილემ შეასრულა მშდ კომპლექსის ნორმატივები.

**ჯ. ლობჟანიძე,**
**ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის დირექტორი.**

საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის დახურულ საცურაო აუზში მიმდინარეობს რესპუბლიკის თასის გათამაშება წყალბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობენ თბილისის „დინამო", „ლოკომოტივი" და „ბურევესტნიკი", სოხუმის „დინამო", ბათუმისა და ქუთაისის „განთიადის" კოლექტივები. თასის მოპოვების დიდი შანსი აქვთ თბილისის დინამოელებს, რომლებმაც დაამარცხეს სოხუმელი თანაკლუბელები ანგარიშით 12:3, დედაქალაქის „ლოკომოტივი" — 18:8, ბათუმის „განთიადი" — 12:5.

ფინალური შეხვედრები გაიმართება დღეს, 18 საათიდან.



სურათზე: თბილისის „ბურევესტნიკისა" და ბათუმის „განთიადის" შეხვედრის მომენტი.

ა. კოტორაშვილის ტექსტი და ფოტო.

## სარბიელზე გამოვიდა 118 ათლეტი

თბილისის ფალავანთა კლუბში სამ დღეს გაგრძელდა საქართველოს თასის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში. სარბიელზე გამოვიდა თბილისის, ქუთაისის, გორის, ცხაკაიას, მახარაძისა და რუსთავის 118 ათლეტი. სამწუხაროდ, ხალიჩაზე ვერ ვიხილეთ სოხუმის, ბათუმისა და ცხინვალის წარმომადგენლები.

უმჩატეს წონაში საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე პირველად ავიდა რუსთაველი თ. ნოზაძე. II ადგილი დაიკავა თბილისელმა თ. ხატიაშვილმა. მესამე იყო ქუთაისელი ა. ქათამაძე.

მჩატე წონაში პირველობისთვის 10 სპორტსმენი იბრძოდა. აქ საუკეთესო აღმოჩნდა ცხაკაიელი მ. ხუხუა. ორი მომდევნო საპრიზო ადგილი ხვდათ გ. კახელაშვილსა და შ. გიგოლაშვილს.

ქვემსუბუქი წონის 17 მოჭიდავეში უძლიერესი აღმოჩნდა არმიელი ნ. მაჭარაშვილი. საპატიო კვარცხლბეკის მეორე საფეხური დაიკავა თბილისელმა გ. თავაძემ. III საპრიზო ადგილი ხვდა ცხაკაიელ ნ. ნაკაშიძეს.

მსუბუქ წონაში გაიმარჯვა თბილისელმა ო. ტატიშვილმა. II და III ადგილებიც მისმა თანაგუნდელებმა ზ. წკრიალაშვილმა და მ. კახელაშვილმა დაიკავეს.

ყველაზე მეტი მოჭიდავე (22) ასპარეზობდა პირველ ქვესაშუალო წონაში. ფინალში ერთმანეთს შეხვდა ორი თბილისელი არმიელი გ. გოგნაძე და გ. ანტონოვი. პასიურობისთვის ანტონოვი ორთაბრძოლიდან მოხსნეს და პირველობა მის მეტოქეს დარჩა.

მეორე ქვესაშუალო წონაში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა, თბილისელმა გ. ქელიძემ II ადგილი დაიკავა. პირველი იყო ქუთაისელი თ. აფხაზავა.

დანარჩენ წონით კატეგორიებში I ადგილები მოიპოვეს თბილისელებმა ი. წიკლაურმა, ე. ფარჯანაძემ, ნ. ბაბიაშვილმა და ე. ღუდუშაურმა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაიკავა თბილისის კოლექტივმა.

უძლიერესი სპორტსმენებით დაკომპლექტდა გუნდები, რომლებიც სასწავლო-საწვრთნელ შეკრებას გაივლიან, შემდეგ ამ გუნდებისგან დაკომპლექტდება საქართველოს ნაკრები, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებაში.

**ნ. კოტრიკაძე.**

## მაიამ ყველას მოუგო

თბილისში, შოთა რუსთველის სახელობის კინოთეატრში, დამთავრდა დედაქალაქის მოშაშე ქალთა ტრადიციული პირველობა. ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა თბილისის 126-ე საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლემ მაია მოსიძემ. ნიჭიერმა გოგონამ, რომელიც ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის შაშის განყოფილების აღსაზრდელია, ყველას მოუგო — რვა მეტოქე დაამარცხა.

II ადგილზეა დ. ბოლქვაძე — 6,5 ქულა, III — ნ. დოლბაია — 5,5. შემდეგ მოდიან: ა. გაბატაშვილი, მ. ავალიშვილი — 4,5-4,5, მ. თიგიშვილი, ქ. ტალახაძე — 4-4, მ. მელიქიშვილი, ნ. თომაშვილი, ქ. ელიზბარაშვილი — 3,5-3,5, ა. თუმასიანი, ა. ოჰანესიანი — 3-3, ნ. ბობოხიძე, ნ. მუშკუდიანი — 2,5-2,5, ლ. გულისაშვილი — 2.

პირველობის მთავარმა მსაჯმა გ. ნინუამ „ლელოს" კორესპონდენტთან საუბარში თქვა:

— შეჯიბრებაში ახალგაზრდა, მზარდი მოშაშეები მონაწილეობდნენ. მათ შემართებით იბრძოლეს და ადგილებიც თამაშის დონის მიხედვით განაწილდა. მაია მოსიძე უდავოდ ნიჭიერი, პერსპექტიული მოშაშეა. ტურნირში იგი უშეღავათოდ, თამამად თამაშობდა. აღსანიშნავია, რომ შეჯიბრება კინოთეატრის ფოიეში ჩავატარეთ. ეს თავისებური სიახლეა შაშის პროპაგანდაში. შეჯიბრებას მაყურებელი არასოდეს აკლდა. ვფიქრობთ, ბევრს გავუღვიძეთ ინტერესი სპორტის ამ უძველესი სახეობისადმი.

**ნ. იმესაშვილი.**

• • •

სურათზე: თბილისის ჩემპიონი მოშაშე ქალთა შორის მ. მოსიძე.

ა. კოტორაშვილის ფოტო.



მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

• •

## კარპოვი — კორჩნოი 3:0 (15 ყაიმი)

მოსკოვი, 2 ნოემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ პ. ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში კარპოვ — კორჩნოის მატჩის XVIII პარტია გათამაშდა.

მეტოქეებმა საბრძოლველად კვლავ ფრანგული დაცვის ტარაშის სისტემა აირჩიეს. სადებიუტო სვლების შემდეგ შავებმა ცენტრში გამხოლოებული პაიკი მიიღეს. მსგავსი პოზიცია ბევრჯერ შემოწმდა ამ მატჩში. შავებმა ყოველთვის შეძლეს მისი დაკარგვის მუქარის უვნებელყოფა. კარპოვს არც ამჯერად უცდია ამ პაიკის მოგება პირდაპირი იერიშით. იგი მეთოდურად ცდილობდა კორჩნოის პოზიციის დასუსტებას, ამიტომ რამდენიმე მსუბუქი ფიგურა გაცვალა. კორჩნოი კი ცდილობდა ხელი შეეშალა თეთრი ეტლების დაწყვილებისთვის.

ბოლოს და ბოლოს, კარპოვმა ბრძოლა მძიმეფიგურებიან დაბოლოებაში გადაიყვანა, მაგრამ გამხოლოებული პაიკის სისუსტის გამოყენება მაინც ვერ მოახერხა.

42-ე სვლაზე, უკვე სავსებით თანაბარ მდგომარეობაში, კარპოვის წინადადებით, მეტოქენი დაზავდნენ.

XIX პარტია 4 ნოემბერს გაიმართება, თეთრებით კორჩნოი ითამაშებს.

გთავაზობთ XVIII პარტიას.

**კარპოვი — კორჩნოი**

**ფრანგული დაცვა**

1. e4 e6 2. d4 d5 3. მd2 c5 4. ed ed 5. მgf3 მc6 6. კb5 კd6 7. 0—0 მge7 8. dc კ:c5 9. მb3 კd6 10. კg5 0—0 11. ეe1 ლc7 12. c3 კg4 13. h3 კh5 14. კe2 h6 15. კ:e7 მ:e7 16. მfd4 კ:e2 17. ლ:e2 a6 18. ლf3 ეad8 19. ეad1 ეd7 20. მf5 მ:f5 21. ლ:f5 ეfd8 22. ეe3 g6 23. ლf3 კf8 24. ეed3 ლc6 25. მd4 ლa4 26. a3 h5 27. ე1d2 კh6 28. ლd1 ლc4 29. ეe2 ლc7 30. მc2 b5 31. მe3 ლc5 32. ეed2 კ:e3 33. ე:e3 ეe7 34. ე:e7 ლ:e7 35. g3 ლe6 36. h4 მფg7 37. მფg2 ლe4+ 38. მფh2 ლf5 39. მფg2 ლe4+ 40. ლf3 ლ:f3+ 41. მფ:f3 მფf8 42. მფf4 ეe8. ყაიმი.

### სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში

## ორი თამაში

გუშინწინ გაიმართა მორიგი ტურის ორი მატჩი, რომლებიც ასე დამთავრდა: „ჟალგირისი" (კაუნასი) — ცსკა 68:88 (27:50), „სპარტაკი" (ლენინგრადი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 83:78 (46:36).



## ცსკა-ც და ტტტ-ც...

7 ნოემბერს სტარტს აიღებს ევროპის საკლუბო კალათბურთის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტურნირი — ჩემპიონთა თასის გათამაშება. ძველი სამყაროს 24 საუკეთესო კოლექტივი საინტერესო ბრძოლას დაიწყებს საფრანგეთის გაზეთ „ეკიპის" პრიზისთვის.

წლევანდელ, რიგით მე-18 ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის ჩემპიონებიც — მოსკოვის არმიელები. აი, სწორედ ისინი და კიდევ ორი გუნდი — მადრიდის „რეალი" და ვარესეს „ინისი" ითვლებიან ახალი ტურნირის მთავარ ფავორიტებად. საინტერესოა აღინიშნოს, რომ წინა 17 გათამაშებაში ამ ტრიოს 12-ჯერ აქვს მოპოვებული საპატიო ჯილდო.

როგორც ცნობილია, შარშანდელ ტურნირში ცსკა არ მონაწილეობდა. უძლიერესის ტიტული ტრადიციულად ესპანეთისა და იტალიის ჩემპიონებმა „რეალმა" და „ინისმა" გაითამაშეს. გამარჯვება ესპანელებს დარჩათ — 84:82.

წლეულს „რეალის" ღირსებას ისევ ძველი და გამოცდილი კალათბურთელები დაიცავენ, „ინისმა" კი ერთგვარად გადაახალისა შემადგენლობა. მაგალითად, გუნდიდან წავიდა ძირითადი გამთამაშებელი და ერთ-ერთი საუკეთესო სნაიპერი, მექსიკელი რაგა. მისი ადგილი ძირითად შემადგენლობაში ამერიკელმა უოლვერტონმა დაიკავა. სპეციალისტების აზრით, უოლვერტონი მეორე ამერიკელ მორსთან და იტალიის ნაკრების ცენტრალურ თავდამსხმელ მენეგინთან ერთად (ეს უკანასკნელი ევროპის ნაკრების ღირსებას იცავდა ამერიკელებთან ამასწინანდელ შეხვედრებში) „ინისის" მთავარი დამრტყმელი ძალა იქნება.

ყურადღებას იპყრობს იუგოსლავიის ახლანდელი ჩემპიონი „ზადარიც". ამ გუნდიდან მიმომხილველები განსაკუთრებით გამოყოფენ ვეტერანს, 37 წლის ჯერჯას და ცენტრალურ თავდამსხმელს ჩოსიჩს, რომელიც რამდენიმე წელიწადს შეერთებულ შტატებში სწავლობდა და ერთ-ერთი იქაური უნივერსიტეტის სპორტულ ღირსებას იცავდა.

როდესაც ამ ტურნირის ფავორიტებს ასახელებენ, გვერდს არც საფრანგეთის ჩემპიონ „ბერკს" უვლიან. სწორედ ამიტომ, ეს დიდი ხუთეული (ცსკა, „რეალი", „ინისი", „ზადარი", „ბერკი") ტურნირში მეოთხედფინალებიდან ჩაებმება.

7 ნოემბერს იწყებენ ანალოგიურ ასპარეზობას ქალებიც. ბულგარეთის გაზეთ „ნაროდენ სპორტის" პრიზს წლეულს 20 კლუბი შეეცილება ერთმანეთს. მთავარ ფავორიტად ამჯერადაც რიგის ტტტ ითვლება, გუნდი, რომელმაც წინა 16 გათამაშებიდან 14 მოიგო.

ლატვიელი კალათბურთელების მთავარ კონკურენტებად მიაჩნიათ საფრანგეთის საუნივერსიტეტო კლუბი „კლერმონ-ფერანი" ამავე სახელწოდების ქალაქიდან. მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ ვინმემ წაართვას საპატიო პრიზი საბჭოთა გუნდს. ფრანგებს კი სერიოზულ წინააღმდეგობას გაუწევენ იტალიის კლუბი „ჯეასა" (ქალაქ სესტო-სან-ჯოვანიდან), პრაღის „სპარტა" და ბულგარეთის ჩემპიონი — პლოვდივის „მარიცა".

საბჭოთა და ფრანგი კალათბურთელები პირდაპირ მეოთხედფინალში არიან დაშვებული.

**„ლელოს" მიმომხილველი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ლელოს" წერილის კვალდაკვალ

# პასუხიც ამას ჰქვია!

**ჩვენი გაზეთის 1 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულ მასალაში „ამას დაუდევრობა ჰქვია" მშვილდოსანთა რესპუბლიკური ჩემპიონატის უხეიროდ ჩატარებისთვის გაკრიტიკებული იყვნენ შეჯიბრების ორგანიზატორები. წერილი ზომების მისაღებად შესაბამის ფედერაციას გადაეგზავნა.**

**აი, როგორი პასუხი მიიღო რედაქციამ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ვ. ბალავაძის ხელმოწერით (ტექსტი მთლიანად მოგვყავს, სტილი დაცულია):**

„გაზეთ „ლელოს" რედაქტორს ამხანაგ შ. კაკაბაძეს

მშვილდოსნობის საქართველოს რესპუბლიკური ფედერაციის სახელზე თქვენი ა/წლის 7 ოქტომბრის № 27 წერილის პასუხად:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი გაცნობებთ, რომ 1 ოქტომბერს თქვენს გაზეთში გამოქვეყნებულ წერილში „ამას დაუდევრობა ჰქვია", ერთობ უსაფუძვლოდ, გაუმართლებელ ფაქტებზე დაყრდნობით მკაცრად იყვნენ გაკრიტიკებული საქსპორტკომიტეტის შესაბამისი განყოფილების მუშაკები.

„რედაქციაში ოთხი ახალგაზრდა მოვიდა"... ასე იწყება აღნიშნული ვრცელი წერილი და რედაქციას, კერძოდ წერილის ავტორს რ. მაღრაძეს გაეხარდა, რომ სპორტის „სიყვარულმა" (და არა ინტრიგამ) ისინი რედაქციაში მიიყვანა.

წერილის ავტორი, როდესაც მდგომარეობის შესასწავლად მივიდა სტადიონზე, ხომ დარწმუნდა, რომ შეჯიბრება მშვილდოსანთა სავარჯიშო მოედანზე ტარდებოდა იმის გამო, რომ ფეხბურთის ორივე მოედანი მძლეოსნობის შეჯიბრებით იყო დაკავებული. სავარჯიშო მოედანზე კი, რომელიც მშვილდოსნობის შეჯიბრებისათვის მომზადდა (და დანიშნულ დროს ჩატარდა) მხოლოდ 9 ფარი დაეტია, რამაც შესაძლებლობა არ მისცა მთავარ მსაჯთა კოლეგიას, რომ პირადი პირველობის მსურველნიც დაეშვა ჩემპიონატზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ სახეობაში რესპუბლიკური შეჯიბრებების პრაქტიკაში ყველა მსურველისათვის კარი ღია არასდროს არ ყოფილა. ასეთი შეჯიბრებები ქალაქის ან რომელიმე ცალკე უწყების მასშტაბამდე უნდა ტარდებოდეს ხოლმე (ყოველ შემთხვევაში ჩვენ. ანალოგიას ვიღებთ საკავშირო შეჯიბრებების ჩატარების პრაქტიკიდან, სადაც ყოველთვის განსაზღვრულია დასაშვებ ღირსეულ სპორტსმენთა რაოდენობა) ამით რესპუბლიკურ შეჯიბრებას თავისებური ავტორიტეტიც ექმნება, იგი ყველა მოუმზადებელი სპორტსმენისათვის ხელმისაწვდომი არ უნდა იყოს).

ისეთი „ცნობილ" ოსტატებს, როგორიც წერილში აღნიშნული ოთხეული იყო, რომ აინტერესებდეთ რესპუბლიკის ღირსებისათვის პირადი სპორტულ-ტექნიკური ოსტატობის ზრდა, პირველ რიგში სისტემატურად ივარჯიშებდნენ და საქართველოს ჩემპიონატში თუ ტექნიკური მიზეზების გამო არ დაუშვეს, მიმდინარე წლის 11-14 ოქტომბერს საქართველოს პროფკავშირთა სპარტაკიადაში ხომ ეხვეწებოდნენ სპორტულ საზოგადოებათა მწვრთნელი-წარმომადგენლები, რატომ იქ, იმ სავალდებულო შეჯიბრებაში არ გამოვიდნენ?! მათ „სიმართლეში" ხომ თვით დარწმუნდა წერილის ავტორი?

სავსებით მისაღებია ბრალდება, რომ „ლოკომოტივის" სტადიონის ხელმძღვანელობა სრულებით არ ზრუნავს მშვილდოსანთა შეჯიბრების რადიოფიცირებაზე, ალმის აღმართვისათვის ანძის დაყენებასა და სხვა ტექნიკური ინვენტარის შეძენაზე, რისთვისაც ხსნ. „ლოკომოტივის" ა/კავკასიის საგზაო საბჭოს დაევალა აღნიშნული საკითხების შესწავლა და ნაკლოვანებათა აღმოფხვრა.

ახლა კი, ზოგიერთი გამოთქმის შესახებ „ცეცხლის ხაზი", როგორც წერილშია აღნიშნული მშვილდოსნობაში არ არსებობს, დღემდე არ არსებობს აგრეთვე რესპუბლიკური ფედერაციაც.

ვსარგებლობთ რა შემთხვევით გვსურს კიდევ ასეთი აზრი გამოვთქვათ, რომ:

ა) კომიტეტის წინაშე ნუ ავამხედრებთ, თვით კომიტეტის ხელმძღვანელობის მიერ გამტყუნებულ მწვრთნელებს (ამ შემთხვევაში შ. ჯაშიაშვილს, რომელმაც „ვერ მოიცალა", რომ ერთი თვით ჩამოსულიყო თბილისში სსრკ ჩემპიონატში მზადებისათვის);

ბ) რედაქციას რატომღაც წესად აქვს, რომ 20-25 დღის დაგვიანებით მიაწოდოს მასალა მკითხველს, და

გ) საქმისათვის ვფიქრობთ უკეთესი იქნება თუ გამოქვეყნებამდე ყველა წერილის პრინციპული საკითხები კომიტეტის შესაბამის მუშაკთან წინასწარ იქნას განხილული. ამით მეტ სარგებლობას მოუტანს ჩვენი გაზეთი ეროვნული სპორტის შემდგომ განვითარებას.

თავმჯდომარის მოადგილე
ვ. ბალავაძე"

**საინტერესოა, ასე რამ გაანაწყენა საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ბალავაძე? გაზეთში გამოქვეყნებულ წერილში მოყვანილი ყველა ფაქტი, რომელთა გამოც ვ. ბალავაძე რედაქციას ედავება, ზუსტია. წერილში გარკვევით არის ნათქვამი, რომ შეჯიბრების ორგანიზატორებს შეეძლოთ მშვილდოსანთა ჩემპიონატი თბილისის სხვა, ნებისმიერ სტადიონზე გადაეტანათ, რაკი „ლოკომოტივის" სტადიონის მთავარი სარბიელები დაკავებული იყო.**

**რედაქციას არ შეეძლო ყურად არ ეღო საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ ც. სუმბაძის, სპორტის ოსტატობის კანდიდატების თ. ტერუნაშვილისა და ლ. კუპრაშვილის, პირველთანრიგოსან ი. ლოგინოვის საჩივარი. ისინი ასპარეზობის უბრალო მსურველები, არაკვალიფიციური სპორტსმენები კი არა, საკმაოდ მაღალკვალიფიციური მშვილდოსნები არიან და ამ შემთხვევაში საკავშირო ღონისძიებებთან ანალოგიის გავლება შეუძლებლად მიგვაჩნია.**

ზემოხსენებული სპორტსმენები საასპარეზოდ დაშვების ღირსნი რომ იყვნენ, ეს ტერუნაშვილმა თბილისის VI სპარტაკიადამიც დაამტკიცა, როცა სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა და II საპრიზო ადგილი დაიკავა.

რაც შეეხებათ სუმბაძესა და კუპრაშვილს, როგორც რედაქციამ დაადგინა, ისინი პროფკავშირთა სპარტაკიადაში არ გამოვიდნენ იმ მიზეზით, რომ არ იციან, ბოლოს და ბოლოს, რომელ საზოგადოებას ეკუთვნიან. ხშირად ხდება, რომ წლის მანძილზე ერთი სპორტსმენი სხვადასხვა საზოგადოების სახელით მონაწილეობს შეჯიბრებებში.

ვ. ბალავაძე გვედავება, „ცეცხლის ხაზი" მშვილდოსნობაში არ არსებობსო. ჩვენი აზრით, აქ სადავო არაფერია. ეს ჩვეულებრივი ლიტერატურული ხერხი, ამ შემთხვევაში გადატანით გამოყენებული ტერმინი გახლავთ. ვფიქრობთ, წერილის ავტორს ჰქონდა ამ ხერხის გამოყენების უფლება.

ვ. ბალავაძე გვწერს, რომ მშვილდოსნობაში „დღემდე არ არსებობს რესპუბლიკური ფედერაცია". ამის პასუხად მას უნდა მოვახსენოთ, რომ გაზეთში გამოქვეყნებულ წერილში მშვილდოსნობის რესპუბლიკური ფედერაცია ნახსენებიც არ არის. ამ შემთხვევაში ჩვენი შეცდომა მხოლოდ ის გახლდათ, რომ რედაქციის თანამშრომელმა საქართველოს სასროლო სპორტის ფედერაციაში გასაგზავნ წერილს „მშვილდოსნობის ფედერაცია" დააწერა. დაგვეთანხმებით, ეს პრინციპული საკითხი როდია.

არ გვესმის, რას გულისხმობს ვ. ბალავაძე, როცა რედაქციაში გამოგზავნილ პასუხში გვწერს: „კომიტეტის წინაშე ნუ ავამხედრებთ მწვრთნელებს". თუ საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი შ. ჯაშიაშვილი ასეთი „ვეამბოხეა", როგორ დანიშნეს იგი რესპუბლიკის ნაკრების უფროს მწვრთნელად, რაში გამოიხატება რედაქციის მიერ ჯაშიაშვილის ამხედრება, ან ვის ჰქონდა მიზნად ეს?

უსაფუძვლოა ვ. ბალავაძის პრეტენზია: „რედაქციას რატომღაც წესად აქვს, რომ 20-25 დღის დაგვიანებით მიაწოდოს მასალა მკითხველს". მშვილდოსანთა რესპუბლიკური პირველობის შედეგები შეძლებისდაგვარად ოპერატიულად გამოქვეყნდა. მართალია, ხდება, რომ ზოგიერთი ასპარეზობის ანგარიშს გაზეთი შედარებით გვიან ბეჭდავს, მაგრამ ამაშიც უმეტესად ბრალი შეჯიბრების ჩამტარებელ ორგანიზაციებს მიუძღვით. საქმე ის გახლავთ, რომ სპორტღონისძიებათა კალენდარი მტკიცე არ არის, ხოლო, ჩვენი მრავალგზისი მოთხოვნის მიუხედავად, ტურნირის გადატანის შესახებ რედაქციას არავინ არაფერს ატყობინებს (როგორც პრაქტიკა ადასტურებს, გაზეთის კრიტიკული შენიშვნებისა ეშინიათ).

დაბოლოს, წესად არავის დაუდგენია, რომ გაზეთში კრიტიკული წერილების გამოქვეყნებას რედაქცია აუცილებლად ვინმესთან ათანხმებდეს. რედაქცია მოწოდებულია სიმართლისთვის იბრძოლოს და გაზეთში დაბეჭდილი ყოველი მასალის ავ-კარგისთვის პასუხს თვითონვე აგებს.

აი, ჯანსაღი კრიტიკისადმი დამოკიდებულების როგორ მაგალითს აძლევს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე სხვა ფიზკულტურული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, თანამშრომლებს...

## ვეხმაურებით მ. მჭედლიშვილის წერილს „იქნებ ასე სჯობდეს"

### ეს ჩვევები არ ექნებოდათ

კარგი იქნება, თუ ფიზაღზრდის მასწავლებლები უფრო მეტს იმუშავებენ ფიზიკურად სუსტ მოსწავლეებთან. ბევრმა მოსწავლემ არ იცის მერხთან წესიერად ჯდომა, სიარულში ვერ იცავს ტანის სწორ კოორდინაციას. დაწყებით კლასებში ბავშვებს სპეციალისტები რომ ასწავლიდნენ ფიზკულტურას, ეს მახინჯი ჩვევები არ ექნებოდათ.

სამწუხაროდ, ბევრ საშუალო და რვაწლიან სკოლაში არავინ უწევს პროპაგანდას მოზარდთა ჯანმრთელობისთვის ფიზაღზრდის მნიშვნელობას. ზოგი მასწავლებელი ფიზაღზრდას მეორეხარისხოვან საგნად მიიჩნევს. ხშირად მსმენია ასეთი ფრაზები: „საკონტროლო წერა მაქვს და შენს გაკვეთილსაც გამოვიყენებ", „ფიზკულტურის გაკვეთილი სკოლის ტერიტორიის დასასუფთავებლად გამოვიყენოთ"... ასეთი დამოკიდებულებიდან იწყება ფიზაღზრდის საგნის დაუფასებლობა. საჭიროა რაიონებში ხშირად მოავლინონ ლექტორები მასწავლებელთათვის ფიზაღზრდის საკითხებზე ლექციების წასაკითხად.

**ს. ქიმაძე,**
**საჩხერის რაიონის სოფ. სავანის რვაწლიანი სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი.**

### ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა გადასაწყვეტი

ვეთანხმებით მ. მჭედლიშვილსა და სხვა მასწავლებლებს, რომ სკოლაში ფიზკულტურას პირველი კლასებიდანვე სპეციალისტები უნდა ასწავლიდნენ. აუცილებელია ისიც, რომ IV კლასიდან ფიზაღზრდის გაკვეთილები გოგონებისა და ბიჭებისთვის ცალ-ცალკე ტარდებოდეს.

უდავოა, რომ კვირაში ფიზაღზრდის ორი გაკვეთილი საკმარისი არ არის. ჩვენი აზრით, გაკვეთილების რაოდენობა სამ-ოთხამდე უნდა გაიზარდოს, ოღონდ იმ სკოლებში, სადაც სპორტდარბაზი და მოედნები აქვთ.

მშრ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად მოსწავლეთა მომზადება სწორედ იმ მასწავლებლებს გაუჭირდათ, რომლებსაც კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობისთვის ნახევარი განაკვეთი აქვთ გამოყოფილი. სამუშაო ძალიან ბევრია. ჩვენი აზრით, იმ სკოლებში, სადაც 800, 1000 და მეტი მოსწავლეა, ფიზაღზრდის მასწავლებელს უნდა დაემატოს 0,5 ან 0,25 განაკვეთი.

უცილობელი ჭეშმარიტებაა, რომ ფიზაღზრდის მასწავლებელმა გაკვეთილი მაღალხარისხოვნად, დიდი მონდომებით უნდა ჩაატაროს. იგი თავის ავტორიტეტს უნდა უფრთხილდებოდეს. საჭიროა მასწავლებელს მუშაობისთვის ნორმალური პირობები ჰქონდეს. მაშინ იგი არ მოიქცევა ისე, როგორც ამას წინათ „ლელოში" წავიკითხეთ ახმეტის რაიონის ერთი ფიზაღზრდის მასწავლებლის შესახებ (გაკვეთილის დროს ჭადრაკის თამაშით ერთობოდა). ზოგჯერ ჩვენვე ვჭრით იმ ტოტს, რომელზეც ვზივართ.

**ლ. ფილიშვილი,**
**შ. კვერნაძე,**
**თბილისის რკინიგზის მე-2 საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებლები.**

### IV კლასიდან — სწავლება ცალ-ცალკე

ფიზკულტურაში გაკვეთილის ხარისხიანად ჩატარებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სათანადო სასწავლო ინვენტარს, რაც, სამწუხაროდ, სპორტულ მაღაზიებში არ იშოვება, ხოლო თუ არის, უვარგისია ბავშვებისთვის.

გოგონები და ბიჭები ფიზკულტურას ცალ-ცალკე უნდა სწავლობდნენ IV კლასიდან, ვინაიდან საპროგრამო მასალაც და სასწავლო ნორმატივებიც მათთვის სხვადასხვაა.

აუცილებელია კონკრეტულად დადგინდეს, რამდენი საათი უნდა ჰქონდეს ფიზაღზრდის მასწავლებელს. ზოგ სკოლაში მას 0,5 განაკვეთი აქვს, ზოგან — 0,25. ეს მაშინ, როცა ამ სკოლებში მასწავლებლებს თანაბარ მოთხოვნებს უყენებენ.

უწინ რაიონში გამარჯვებულ საშუალო სკოლის გუნდს უფლება ჰქონდა განათლების სამინისტროს ხაზით რესპუბლიკურ პირველობაში მიეღო მონაწილეობა. ამ ბოლო ხანს ეს კარგი ტრადიცია რატომღაც მივიწყებულია.

**პ. მალაღურაძე,**
**ზესტაფონის მე-4 საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი.**

### ცხოვრების კარნახით

**საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი სამართლიანად ითვლება ფიზიკური კულტურისა და სპორტის სპეციალისტთა სამჭედლოდ. ინსტიტუტის კურსდამთავრებულნი ნაყოფიერ პედაგოგიურ და სპორტულ მუშაობას ეწევიან რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში.**

**წლეულს ინსტიტუტში საშვილიშვილო საქმე გაკეთდა: გაიხსნა საზოგადოებრივი პროფესიების ფაკულტეტი სამი განყოფილებით, დიდი ინტერესი გამოიწვია სპორტული ჟურნალისტიკის განყოფილების გახსნამ. ასამდე ახალგაზრდამ მისაღები გამოცდები წარმატებით ჩააბარა.**

**ახალი განყოფილების სტუდენტები ვსწავლობთ ჟურნალისტიკის ისტორიას, თეორიას, სტილისტიკას, საგაზეთო კორესპონდენციებზე მუშაობას. შემდგომ შევისწავლით რადიო- და ტელეჟურნალისტიკის საკითხებს, დავეუფლებით კომენტატორის ხელოვნებას.**

**მომავალი პედაგოგები, მწვრთნელები თავიანთ ძირითად პროფესიასთან ერთად დამატებით სპეციალობასაც მივიღებთ. ეს საშუალებას მოგვცემს ფიზკულტურასა და სპორტს აქტიური პროპაგანდა გავუწიოთ.**

**ე. ბერიშვილი,**
**მ. ბერძენიშვილი,**
**გ. ფრანგიშვილი,**
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის საზოგადოებრივი პროფესიების ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტები.

## რუსთავის თასები — თბილისელებს

რუსთავის ალკკ საქალაქო კომიტეტმა კომკავშირის დაბადების 56 წლისთავის აღსანიშნავად ბევრი საინტერესო ღონისძიება დაგეგმა. მათ შორის იყო მძლეოსნური ესტაფეტა ქალაქის საშუალო სკოლების მოსწავლეთა მონაწილეობით და ველორბოლა „ქალაქის წრე", რომელშიც თბილისელი და ჭიათურელი სპორტსმენებიც გამოდიოდნენ.

მძლეოსნებისთვის ორკილომეტრიანი დისტანცია ათ ეტაპად იყო დაყოფილი. სტარტიდანვე დაწინაურდა მე-19 საშუალო სკოლის მოსწავლე ვ. პანჩუკი. შემდეგ მის თანაგუნდელებს ხელიდან აღარ გაუშვიათ უპირატესობა და ფინიშთან პირველი ამ სკოლის გუნდის წევრი ი. კოჩიევი მიიჭრა. II ადგილზე გავიდა მე-3 საშუალო სკოლის კოლექტივი, III — მე-7 საშუალო სკოლის გუნდი.

ველოსიპედისტებს ქალაქში რამდენიმე წრე უნდა შემოევლოთ. რბოლას თავიდანვე სათავეში ჩაუდგა თბილისელი სპორტის ოსტატი დ. კობაიძე, რომელიც ფინიშთანაც პირველი მიიჭრა, II ადგილზეა ასევე თბილისელი სპორტის ოსტატი ვ. ბოგომოლოვი, მესამე იყო რუსთაველი სპორტის ოსტატი გ. თოლომაშვილი.

ველორბოლაში I ადგილზე გასულ დ. კობაიძეს და მძლეოსნურ ესტაფეტაში გამარჯვებულ რუსთავის მე-19 საშუალო სკოლის გუნდს რუსთავის კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანმა მ. ასლანიკაშვილმა თასები გადასცა.

**რ. ბაბრიშიძე.**
**(ჩვენი კორ.).**

რუსთავი.

* * *



სურათზე: დ. კობაიძე თასით ხელში.

ავტორის ფოტო.

## შეხვედრა შეფებთან

ქუთაისის სატრიკოტაჟო ფაბრიკა შეფობას უწევს ზესტაფონის რაიონის ქვედა საზანოს რვაწლიან სკოლას. შეფები საგრძნობ დახმარებას უწევენ მოსწავლეებს და არც ფიზკულტურელებს ივიწყებენ. მაგალითად, მათ ნორჩებს სპორტული ტანსაცმელი შეუძინეს ფრენბურთში, კალათბურთსა და მძლეოსნობაში სამეცადინოდ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას კალათბურთის რკინის ფარები საკუთარი სახსრებით დაუდგა „ზესტაფონმშენმა".

ამას წინათ ქვედასაზანოელ მოსწავლეებს ქუთაისის სატრიკოტაჟო ფაბრიკის სპორტული დელეგაცია ეწვია. მოეწყო მეგობრული შეხვედრები ჭადრაკში, ფეხბურთსა და კალათბურთში. მასპინძლებმა მხოლოდ ჭადრაკში გაიმარჯვეს. შეხვედრამ გულთბილად და საინტერესოდ ჩაიარა.

**ა. განუგრავა.**
**(ჩვენი კორ.).**

სოფ. ზედა საზანო,
ზესტაფონის რაიონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაისად: უმაღლეს ლიგაში — მოსკოვის „ლოკომოტივი" და დონის როსტოვის ასკ; II ლიგაში — აშხაბადის „სტროიტელი", ლიპეცკის „მეტალურგი" და ივანოვოს „ტექსტილშჩიკი"




## გუშინ...

თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე შედგა დუბლიორთა გუნდების საკავშირო გათამაშების მატჩი: „დინამო" (თბილისი) — „კარპატი". თამაში ფრედ დამთავრდა — 2:2.

სსრ კავშირის პირველობა

## ბოლო მატჩი მოგებულია

## I ლიგა

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 1 ნოემბერი.

„ტორპედო" (ქუთაისი) — „ტავრია" (სიმფეროპოლი) 2:1 (0:0).

„ტორპედო": გაბელია, კოსტავა, ფარულავა, ჰოხონელიძე, ქვირია, ოქროპირაშვილი, ჩახუნაშვილი (აბზიანიძე), შელია (შენგელია), ბურკაძე, ხერხაძე, გაბიჩვაძე (ფესტვენიძე).

„ტავრია": ზანინი, ჟილინი, მურსკი, გუსევი, ლუშჩენკო, კვანინი, კორობოჩკა, კლიმოვი, ავდეევი, ჩერემისინი, პრილეპსკი.

მსაჯი მ. რაფალოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 2:0.

I ლიგის გუნდების საკავშირო გათამაშების ბოლო მატჩში ქუთაისელ ფეხბურთელებს ძლიერი მეტოქე ჰყავდათ „ტავრიის" სახით. სტუმრებს უკეთესი მდგომარეობა ჰქონდათ სატურნირო ცხრილში და ამდენად პრინციპული მეტოქე იყვნენ „ტორპედოსთვის". ამას გარდა, პირველ წრეში „ტავრიამ" ქუთაისელები დაამარცხა საკუთარ მინდორზე (1:0) და ტორპედოელებს რევანშის აღებისთვის უნდა ეზრუნათ.

მატჩი წარიმართა საინტერესოდ, დაძაბულად. ტორპედოელებს იერიშები არ შეუწყვეტიათ. სტუმრების კართან ხშირად იქმნებოდა სახიფათო მომენტები, მაგრამ გოლის გატანა არ მოხერხდა, ვინაიდან საუცხოოდ ითამაშეს მეკარე ზანინმა და დაცვის რგოლმა მთლიანად. ამას გარდა, ქუთაისელ თავდამსხმელთა დარტყმებიც არ იყო ზუსტი.

„ტორპედოს" უპირატესობამ შედეგი მხოლოდ შესვენების შემდეგ გამოიღო. ის-ის იყო განახლდა თამაში, რომ საკუთარ კართან შექმნილ სახიფათო ვითარებაში ხელით ითამაშა „ტავრიის" ერთ-ერთმა მცველმა. პენალტი ზუსტად გამოიყენა ხერხაძემ. 51-ე წუთზე ტორპედოელთა მორიგი იერიში ზუსტი დარტყმით დაამთავრა ჩახუნაშვილმა.

ქუთაისელები შემდგომშიც მონდომებით, ენერგიულად უტევდნენ და ანგარიშის გაზრდაც შეეძლოთ, მაგრამ ეს ვერ მოახერხეს. სამაგიეროდ, სიმფეროპოლელთა კონტრშეტევა 75-ე წუთზე მოულოდნელი დარტყმით დაამთავრა კლიმოვმა — 1:2.

შემდგომში არც ერთი გუნდის ცდებს შედეგი არ მოჰყოლია და ქუთაისის „ტორპედომ" ჩემპიონატის ეს ბოლო პრინციპული შეხვედრა გამარჯვებით დაამთავრა.

შ. ნიჟარაძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

## სხვა მატჩები

ასე დამთავრდა: „პამირი" (დუშანბე) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 3:1, „ნეფთჩი" (ბაქო) — „სპარტაკი" (ივანო-ფრანკოვსკი) 0:0, „სპარტაკი" (ნალჩიკი) — „ზვეზდა" (პერმი) 2:2, „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) 3:2, „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „შინიკი" (იაროსლავლი) 5:2, „კუბანი" (კრასნოდარი) — „კუზბასი" (კემეროვო) 1:0, „სტროიტელი" (აშხაბადი) — „მეტალურგი" (ლიპეცკი) 9:0.

• • •

პირველ ლიგას გამოეთხოვნენ აშხაბადის „სტროიტელი", ლიპეცკის „მეტალურგი" და ივანოვოს „ტექსტილშჩიკი".

## ბურთების უკეთესი ბალანსის წყალობით

1 ნოემბერს დამთავრდა I ლიგის გუნდების საკავშირო გათამაშება. ბოლო ტურს უნდა გამოერკვია, თუ მოსკოვის „ლოკომოტივის" მერე ვინ მიიღებდა უმაღლესი ლიგის მეორე საგზურს. საამისოდ ყველაზე მეტი შანსი ჰქონდათ როსტოვის არმიელებს და მინსკის დინამოელებს. მაგრამ ამ ორი გუნდიდან გარკვეული უპირატესობა როსტოველებს გააჩნდათ, ვინაიდან გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობით ისინი საგრძნობლად უსწრებდნენ მინსკელებს.

ბოლო ტურში კონკურენტებმა თავიანთ მიწდვრებზე დამაჯერებელ გამარჯვებებს მიაღწიეს: როსტოვის გუნდმა ანგარიშით 7:2 მოუგო სვერდლოვსკის „ურალმაშს", ხოლო მინსკის „დინამომ" — ივანოვოს „ტექსტილშჩიკს" — 4:0.

როსტოველებმა და მინსკელებმა ქულათა თანაბარი რაოდენობა (51) დააგროვეს, მაგრამ ბურთების სხვაობა არმიელებს აქვთ +29, ხოლო დინამოელებს +22. ამ მაჩვენებლით უმაღლეს ლიგაში გადასვლის უფლება მიიღო როსტოვის არმიის სპორტკლუბის გუნდმა.

# პრეტენდენტთა ტურნირი გაიხსნა



გუშინწინ თბილისში, ჭადრაკის სასახლეში საზეიმოდ გაიხსნა საერთაშორისო შაშში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირი.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა ამ საინტერესო შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, თბილისის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ს. რიგვავამ.

სტუმრებს მიესალმნენ ახალგაზრდა თბილისელი ოსტატები — საქართველოს ექს-ჩემპიონი ქალთა შორის, 16 წლის თ. გამხიტაშვილი და ჭაბუკთა მსოფლიო პირველობის ვერცხლის პრიზიორი ბ. შავერდიანი.

სიტყვას ამბობს ტურნირის მთავარი მსაჯი, საერთაშორისო არბიტრი დ. ჯუდია (იტალია). მან დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა მონაწილეები. მერე კი აღნიშნა, რომ I ადგილზე გასული მოშაშე 1975 წელს მატჩში შეხვდება მსოფლიო ჩემპიონს ტ. სეიბრანდსს (ჰოლანდია). შეჯიბრების რეგლამენტის შესახებ მან თქვა, რომ მეტოქეები ექვს დღეში ხუთ ტურს გაითამაშებენ. თითოეული ტურის ხანგრძლივობა 6 საათი იქნება. გადადებული პარტიების დასამთავრებლად შეხვედრები მეორე დღეს, დილით მოეწყობა.



შემდეგ მთავარმა მსაჯმა მონაწილეები წილისყრაზე მიიწვია. სატურნირო ცხრილი ასე შეივსო:

1. დიდოსტატი ხ. ვირსმა (ჰოლანდია), 2. დიდოსტატი ა. განტვარგი (სსრ კავშირი), 3. საერთაშორისო ოსტატი გ. გაეტანი (კანადა), 4. საერთაშორისო ოსტატი პ. კადერაბეკი (ჩეხოსლოვაკია), 5. დიდოსტატი ი. კუპერმანი (სსრ კავშირი), 6. საერთაშორისო ოსტატი ფ. ვალდრინგი (სურინამი), 7. დიდოსტატი ა. ანდრეიკო (სსრ კავშირი), 8. საერთაშორისო ოსტატი დ. კანდანი (შრი ლანკა), 9. საერთაშორისო ოსტატი მ. ლეპტიჩი (იუგოსლავია), 10. საერთაშორისო ოსტატი გ. ბადიალი (იტალია), 11. საერთაშორისო ოსტატი ე. კონვერსკი (პოლონეთი).

დასასრულს თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის აღსაზრდელებმა მშვენიერი კონცერტი გამართეს.

• • •

საერთაშორისო შაშში მსოფლიო პირველობის გათამაშება 1894 წელს დაიწყო. პირველი ჩემპიონი გახდა ი. ვეისი (საფრანგეთი), რომელმაც 1912 წლამდე „იმეფა". მას გვირგვინი ჰოლანდიელმა გ. ჰოგლანდმა ჩამოართვა. 1925 წელს ჩემპიონის ტიტული ფრანგმა ს. ბიზომ დაისაკუთრა, მაგრამ ტახტზე მხოლოდ ერთ წელიწადს გაძლო, შემდეგ კი თანამემამულე მ. ფაბრმა სძლია. 1928 წელს ჩემპიონად ჰოლანდიელი ბ. შპრინგერი აკურთხეს. მაგრამ ორი წლის შემდეგ ფაბრმა გვირგვინი დაიბრუნა. 1933 წელს 19 წლის მ. რაიჰენბახმა (საფრანგეთი) სძლია მსოფლიო ჩემპიონს და მერე სამჯერ შეძლო მოპოვებული ტიტულის შენარჩუნება.



მსოფლიოს მეშვიდე ჩემპიონია ფრანგი პ. გასტემი, რომელმაც 1945 წელს რაიჰენბახი დაამარცხა. გასტემმა უძლიერესის სახელი 1947 წელსაც შეინარჩუნა.

1947 წელს შაშის საერთაშორისო ფედერაცია შეიქმნა. მან შემოიღო თავისი „ოქროს წიგნი", რომელშიც ყველა მსოფლიო ჩემპიონის გვარი შეაქვს. ფედერაციამ მსოფლიო პირველობის გათამაშების ოთხწლიანი ციკლი შეიმუშავა. ნაკიან წელიწადს ეწყობა დიდი ოლიმპიური ტურნირი, რომელშიც I ადგილზე გასული მოშაშე მსოფლიო ჩემპიონად ცხადდება. მომდევნო წელს იმართება მატჩ-რევანში ოლიმპიურ ტურნირში გამარჯვებულ მოშაშესა და ამ ტურნირის მონაწილე მსოფლიო ჩემპიონს შორის. მესამე წელიწადს ტარდება პრეტენდენტთა ტურნირი, მეოთხე წელიწადს — მატჩი მსოფლიო პირველობაზე მსოფლიო ჩემპიონსა და პრეტენდენტთა ტურნირში I ადგილზე გასულს შორის.

ამ წესით 1948 წელს გამართულ დიდ ოლიმპიურ ტურნირში მსოფლიო ჩემპიონის სახელი პ. როოზენბურგმა (ჰოლანდია) მოიპოვა. მან სამჯერ შეინარჩუნა მაღალი ტიტული: 1951 წელს რ. კელერთან, 1953 წელს კი ვ. გიუსმანთან (ორივე — ჰოლანდია) გამართულ მატჩებში, ხოლო 1952 წელს — დიდ ოლიმპიურ ტურნირში გამარჯვებით.

1956 წელს დიდ ოლიმპიურ ტურნირში გაიმარჯვა კანადელმა მ. დელორემ. იმავე წელს საბჭოთა მოშაშეები შაშის საერთაშორისო ფედერაციის წევრები გახდნენ და მსოფლიო პირველობის გათამაშებაში აქტიურად ჩაებნენ.

1958 წელს პრეტენდენტთა ტურნირში I ადგილი დაიკავა საბჭოთა ინჟინერმა ი. კუპერმანმა, რომელმაც მომდევნო წელს დელორეს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ჩამოართვა.

1960 წელს დიდ ოლიმპიურ ტურნირში ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა 19 წლის მოსკოველმა ვ. შჩოგოლევმა. მან მეორედაც, 1964 წლის დიდ ოლიმპიურ ტურნირშიც გაიმარჯვა, მაგრამ 1961 და 1965 წლებში კუპერმანმა მატჩ-რევანშები მოუგო.

1968 წელს დიდ ოლიმპიურ ტურნირში ყველას აჯობა რიგელმა ა. ანდრეიკომ. 1969 წელს მან შეინარჩუნა ტიტული კუპერმანთან მატჩ-რევანშში, ხოლო 1972 წელს იმავე კუპერმანთან, როგორც პრეტენდენტთა ტურნირის პირველ პრიზიორთან, დაიცვა გვირგვინი.

მსოფლიოს მეცამეტე ჩემპიონია 20 წლის ჰოლანდიელი ტ. სეიბრანდსი, რომელმაც 1973 წელს დიდი ოლიმპიური ტურნირი მოიგო, წლეულს კი ანდრეიკოს მატჩ-რევანშში სძლია.

ასეთია მოკლედ საერთაშორისო შაშში მსოფლიო პირველობის გათამაშების ისტორია.

თ. ნინოშვილი.

• • •

სურათებზე (ზემოდან): მთავარი მსაჯი დ. ჯუდია; წილისყრის დროს — ი. კუპერმანი და ხ. ვირსმა.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

## უნივერსიტეტის საქმეები

კარგა ხანია ტრადიციად დამკვიდრდა თბილისის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და თანამშრომელთა სპარტაკიადები. უნივერსიტეტელთა წლევანდელ სპორტულ ფორუმში, რომელიც ახლახან დამთავრდა, 270-მდე კაცი მონაწილეობდა. სპარტაკიადის სტარტზე, გარდა ეკონომიურისა და იურიდიულისა, ყველა ფაკულტეტმა გამოიყვანა გუნდები. მათთან ერთად ასპარეზობდნენ ფიზაღზრდის კათედრისა და სპორტის, აგრეთვე, გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის წარმომადგენლები.

სპარტაკიადაში, რომლის პროგრამაშიც ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი, თევზაობა და სროლა შედიოდა, ბიოლოგიის ფაკულტეტის გუნდმა გაიმარჯვა (95,5 ქულა). II ადგილი დაიკავეს გეოგრაფია-გეოლოგიის (88 ქულა), ხოლო III — ფიზიკის ფაკულტეტის (85) წარმომადგენლებმა.

• • •

ახლახან პირველკურსელთათვის მოეწყო ტურისტული ლაშქრობა მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად. 1200-მდე მოლაშქრე სტუდენტის მარშრუტი ასეთი იყო: მაღლივი კორპუსი — სოფელი თხინვალი — სოფელი პატარა ლისი — მშრალი ტბა — ლისის ტბა. ლაშქრობის ბოლო პუნქტში სტუდენტებმა ნავით სრიალით გული იჯერეს და დაღლილები, მაგრამ კმაყოფილნი შინ დაბრუნდნენ.

უახლოეს ხანში დაგეგმილია ტურისტული ლაშქრობა უძოს მთაზეც იმ პირველკურსელთათვის, ვისაც ამ ღონისძიებაში მონაწილეობა არ მიუღია.

• • •

კარგი საჩუქარი მიიღეს უნივერსიტეტელებმა — მოეწყო 25-მეტრიანი ტირი, რომელსაც 5 სამიზნე აქვს. ამიერიდან ისინი საკუთარ ბაზაზე მოემზადებიან და ჩააბარებენ მშდ კომპლექსის ნორმატივებს.

ტირის კეთილმოწყობაში დიდი წვლილი მიუძღვით უნივერსიტეტის პრორექტორს ა. ხარშილაძეს, ფიზაღზრდის მასწავლებლებს თ. ფურცელაძეს, ე. ნოზაძეს, ო. გოჩიაშვილსა და ტყვიის მსროლელთა მწვრთნელს, სპორტის ოსტატ თ. ლეკიშვილს.

ლ. ხეცურიანი,
თბილისის უნივერსიტეტის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის მასწავლებელი.

# საკავშირო ფინალი — აჭარის დედაქალაქში

გუშინ ბათუმში დაიწყო ჭაბუკთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ფინალური მატჩები. ეს შეჯიბრებები დიდი ხანია ეწყობა. ჩემპიონის წოდება სხვადასხვა დროს მოპოვებული აქვთ მოსკოვის, უკრაინისა და საქართველოს გუნდებს. აღსანიშნავია, რომ მოზარდ ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატებს სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება დიდი ფეხბურთის რეზერვების აღზრდის თვალსაზრისით, კერძოდ, სწორედ ამ ასპარეზზე აიდგეს ფეხი ცნობილმა ფეხბურთელებმა ვ. ლობანოვსკიმ, ი. ჩისლენკომ, ა. კავაზაშვილმა, ო. ბაზილევიჩმა, ვ. მუნტიანმა, რ. ძოძუაშვილმა, ვ. ონიშჩენკომ, გ. ლოგოფეტმა და სხვ.

წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატის ფინალისტთა შორის ვხედავთ ბათუმის ნორჩ დინამოელებსაც (მწვრთნელები ვ. მჟავია და ლ. ვეფხულიძე), რაც სერიოზულ წარმატებად უნდა ჩაითვალოს. მასპინძლებთან ერთად ფინალში მონაწილეობენ მოსკოვის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა, „პახთაქორი" (ტაშკენტი), „შინიკი" (იაროსლავლი), „შრომითი რეზერვები" (მოსკოვის ოლქი) და „ზენიტი" (ლენინგრადი).

საინტერესოა გავიხსენოთ გზა, რომელიც ბათუმელმა ფეხბურთელებმა განვლეს ფინალამდე. 3 მარტს დაიწყო მატჩები საქართველოს პირველობაზე ორ ზონად. დინამოელებმა გაიმარჯვეს დასავლეთ ზონაში, რის შემდეგაც გადამწყვეტ მატჩში შეხვდნენ თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდს, წააგეს მატჩი დამატებითი 11-მეტრიანი დარტყმებით და II ადგილზე გავიდნენ.

საკავშირო ნახევარფინალურ ტურნირში საქართველოდან გავიდნენ თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის გუნდები. ბათუმელმა ფეხბურთელებმა თავი ისახელეს კამენსკ-შახტინსკში გამართულ ნახევარფინალში, დაუმარცხებლად განვლეს შეჯიბრება, 10 შეხვედრიდან 9 ქულა დააგროვეს და I ადგილი დაიკავეს. სპეციალური პრიზები მიიღეს მეკარე ი. შამინაიშვილმა და ნახევარმცველმა ვ. დოლიძემ. თავი გამოიჩინეს, აგრეთვე, გ. ბოხუამ, ხ. წუწუნავამ, ნ. ხაჩიძემ, ა. ვოლკოვმა...

ახლა, ფინალში, ბათუმის „დინამო" ახალი სერიოზული ამოცანების წინაშე დგას და იმედია თავს არ დაზოგავს წარმატების მისაღწევად.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მონრეალში, სადაც ჩატარდა ველოსიპედისტთა მსოფლიო ჩემპიონატი და სადაც ჩატარდება 1976 წლის ოლიმპიური თამაშები

ზაფხულის მიწურულს კანადაში ჩატარდა მოყვარულ და პროფესიონალ ველოსიპედისტთა მსოფლიო ჩემპიონატი ტრეკზე და გზატკეცილზე რბოლაში.

ასპარეზობა ჩაატარა ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირის (უსი) კომისართა კოლეგიამ, რომელშიც შედიოდა ბელგიის, საფრანგეთის, იტალიის, შვეიცარიის, ჰოლანდიის, მექსიკის, კოლუმბიის, აშშ-ს, დანიის, ავსტრალიის, ტრინიდადის თითო და სსრ კავშირის ორი (ო. საპოჟნინი ესტონეთიდან და მ. ბარამია საქართველოდან) წარმომადგენელი. გთავაზობთ ამ შეჯიბრების სხვადასხვა ეპიზოდის ამსახველ ფოტოსურათებს.



„ფორდის" კანადის განყოფილების კონვეიერიდან ჩამოსული 28 ახალი მანქანა მზადაა კვალში ჩაუდგეს გუნდებს, რომლებიც ყოველ ოთხ წუთში გადიან გუნდური საგზატკეცილო რბოლის 100-კილომეტრიან ტრასაზე. ყოველ მანქანაში სხედან უსი-ს კომისრები და კანადის ველოსპორტის ფედერაციის მსაჯები, რომლებიც თვალს ადევნებენ რბოლას, ძარაზე გუნდის მწვრთნელი და მექანიკოსი არიან სათადარიგო ველოსიპედებითა და ბორბლებით.



ტრანსკანადის ავტოსტრადაზე გაყვანილ ტრასაზე თქვენ ხედავთ ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს — ნორვეგიელ მრბოლელთა ოთხეულს.



რამდენიმე წუთში დაიწყება გამარჯვებულთა დაჯილდოების ოფიციალური ცერემონია. უსი-ს პრეზიდენტი ა. როდონი (იტალია) და გენერალური ხაზინადარი მ. მუაზონი (ბელგია) ველოსიპედისტებს მედლებს გადასცემენ. ჯერჯერობით კი ისინი ტრიბუნაზე სხედან კანადელ მაყურებლებთან ერთად.



ფრანგი კომისარი ჟ. კური სალიდერო რბოლის დიდ სპეციალისტად ითვლება. ახლა იგი წილისყრის შემდეგ ესპანელი ლიდერის ხ. ალ ბონსის ნომერს იწერს. შუაში დგას ესპანეთის გუნდის მწვრთნელი, ექვსგზის მსოფლიო ჩემპიონი სალიდერო რბოლაში პროფესიონალთა შორის გ. ტიმონერი.



შეჯიბრებისგან თავისუფალ დროს მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეებმა დაათვალიერეს მომავალი ოლიმპიური ბაზები. ბუნებრივია, ველოსიპედისტებს განსაკუთრებით აინტერესებდათ ველოდრომის მშენებლობა. აი, ასე გამოიყურება იგი მშენებლობის დაწყებიდან 10 თვის შემდეგ. ტრეკი საიმედოდ იქნება დაცული წვიმისგან და მზის მწველი სხივებისგან.



ტრეკიდან ხელმარჯვნივ უზარმაზარი ცარიელი მოედანია. აქ ააწყობენ ოლიმპიური სტადიონის რკინა-ბეტონის კონსტრუქციებს. მარცხნივ მთავრდება ჭიდაობის დარბაზის მშენებლობა, რომელსაც დამხმარე პავილიონებიც ექნება.



ოლიმპიურ ბაზებზე ექსკურსიას ატარებენ „ოტესები" (ასე ეძახიან სტიუარდესებს, გიდებს, თარჯიმნებს) — წითელი ფერის ოლიმპიურ ფორმაში გამოწყობილი გიდები. საყელოზე ოლიმპიური ემბლემები უქეთიათ. ისინი სიამოვნებით აცხადებენ თანხმობას ფოტოსურათის გადაღებაზე.

მ. ბარამია,
უსი-ს კომისარი.
ავტორის ფოტოები.

---

◆ ნოვი-სადი, 2 ნოემბერი. დიდოსტატმა მ. ტალმა I ადგილი დაიკავა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ფაშისტი დამპყრობლებისგან იუგოსლავიის ამ ქალაქის გათავისუფლების 30 წლისთავს მიეძღვნა. ტალმა 16-დან 11,5 ქულა დააგროვა. II ადგილზეა უნგრელი დიდოსტატი ფორინტოში — 11 ქულა. III ადგილი დაიკავა იუგოსლაველმა რაიჩევიჩმა — 10. როგორც გაზეთი „პოლიტიკა" წერს, საბჭოთა მოჭადრაკემ ტრადიცია არ დაარღვია: ტალს გამარჯვება აქვს მოპოვებული იუგოსლავიაში გამართულ ყველა ტურნირში, რომელშიც კი მონაწილეობა მიუღია. იქ მან მხოლოდ ერთხელ გაიყო I ადგილი.

---

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### 30 უცხოელი

ეს მეორე სეზონია ესპანეთში ოფიციალურად დართეს ნება უცხოელ ფეხბურთელთა იმპორტს. ახლა თითქმის არ დარჩენილა არც ერთი მოწინავე კლუბი, ამ გზით რომ არ გაეძლიერებინოს თავისი შემადგენლობა.

ოფიციალური ცნობით, დღეისთვის ესპანეთის ლიგებში სამ ათეულზე მეტი უცხოელი თამაშობს, მათგან 13 არგენტინელი (სანტორო, ვოლფი, ფიშერი და სხვ.), 5 ურუგვაელი, 3 დასავლეთგერმანელი (ნეცერი, ბრაიტნერი, ელტინგი), 3 ჰოლანდიელი (კრუიფი, ნეესკენსი, ვან დიიკი), 3 იუგოსლაველი, 2 პარაგვაელი, თითო — ავსტრიიდან, ჩილიდან, შვეციიდან, იტალიიდან, პორტუგალიიდან და ჰონდურასიდან.

● ●

### კუბალა და მისი მრჩევლები

ესპანეთის ნაკრების მწვრთნელს კუბალას მიაჩნია, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მისი ფეხბურთელების მარცხის შემდეგ დარჩა რეაბილიტაციის ერთადერთი საშუალება — ევროპის პირველობაში წარმატებით გამოსვლა.

ახლა კუბალა ბევრ მრჩეველს მიმართავს. მან 22 უძლიერესი ფეხბურთელი აარჩია და ვარჯიშებზე მიიწვია „რეალის" მწვრთნელი მილიანიჩი, რომელმაც მას დახმარება უნდა გაუწიოს. საინტერესოა, რომ ევროპის პირველობის შესარჩევი ტურნირის მატჩების წინ კუბალას კიდევ ერთი მრჩეველი იქნება ცნობილი დასავლეთგერმანელი ფეხბურთელი ბრაიტნერი, რომელიც მადრიდის „რეალში" თამაშობს.

---

## საჩოგბურთო კორტებზე

მელბურნში ამას წინათ გაიმართა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მსოფლიოს ბევრმა საუკეთესო ჩოგბურთელმა იასპარეზა. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ავსტრალიელი სპორტსმენების ჯონ ნიუკომბისა და ჯეფ მასტერსის ნახევარფინალურმა შეხვედრამ. სპეციალისტთა და ჟურნალისტთა უმეტესობა გამარჯვებას ნიუკომბს უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ წარმატებას მასტერსმა მიაღწია — 6:3, 3:6, 6:2. არც მასტერსს ეწერა „დიდი დღე": ფინალურ მატჩში იგი ამერიკელ დიკ სტოკტონთან დამარცხდა — 2:6, 3:6, 2:6.

მწვავე ბრძოლა გაჩაღდა თეირანის კორტებზეც: ირანის დედაქალაქში გამართულმა საერთაშორისო შეჯიბრებამაც დიდი ინტერესი გამოიწვია. ვაჟთა ერთეულების თანრიგში ყველას აჯობა არგენტინელმა გილერმო ვილასმა, რომელმაც ფინალურ მატჩში დაამარცხა მექსიკელი რაულ რამირესი — 6:0, 6:3, 6:1. ვილასმა წარმატებას მიაღწია ვაჟთა წყვილების თანრიგშიც: ესპანელ მანუელ ორანტესთან ერთად სძლია რამირესისა და ამერიკელი ბრაიან გოტფრიდის დუეტს — 7:6, 2:6, 6:2.

---

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 04792